სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/43

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართობის იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2025 წლის 28 ივლისის №0000922260 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 ივლისის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, კოსტავას ქ. №68, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარედ არსებული 18.7 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი 01.10.17.041.016) გასცეს იჯარით, 4 (ოთხი) წლის ვადით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**